LTD "SOLID WASTE MANAGEMENT COMPANY OF GEORGIA"

# ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისთვის

## გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წარდგენა ადგილობრივ მოსახლეობასთან

27 დეკემბერი, 2021

ფინანსური პარტნიორი:

მიმღები:

განმახორციელებელი კონსულტანტი:

გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის წარდგენა გაიმართა ობიექტის მოსაზღვრე სოფლების დიდი ნეძისა და ორულოს სოფლის მოსახლეობასთან, ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

შეხვედრებს ესწრებოდნენ საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანიის და პროექტის განმახორციელებელი საკონსულტაციო კონსორციუმის წარმომადგენლები:

**ვახტანგ ბარამია** - *საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანიის დირექტორის მოადგილე*

**ხათუნა ჩიკვილაძე** - *საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანიის დირექტორის მრჩეველი*

**თამარ ძიმისტარიშვილი** - *საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანიის სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კოორდინატორი*

**ზურაბ ზანდარაშვილი** - *საუნდერს ჯგუფის წარმომადგენელი: პროექტის ასისტენტი*

**გიორგი შუბითიძე** - *გეო-ს წარმომადგენელი: სოციოლოგი*

## <u>დიდი ნეძი</u>

**პირველი შეხვედრა**
**ადგილობრივი მაცხოვრებელი ქალები**

შეხვედრას ესწრებოდა 13 ქალი.

შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობირვი მაცხოვრებელი ქალები სხვადასხვა ასაკობივი ჯგუფიდან. ქალთა მონაწილეობამ უზრუნველყო გარემოს შეფასების ანგარიშის შედეგების გაცნობა სამიზნე ჯგუფთან.

ხათუნა ჩიკვილაძემ წარადგინა პრეზენტაცია გარემოს შეფასების ანგარიშის ძირითადი მიგნებების შესახებ. ასევე პროქტის მიმდინარეობის სამომავლო გეგმებისა და პროეტის დასრულების სავარაუდო თარიღის შესახებ.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გაიმართა კითხვა/პასუხის სესია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ვახტანგ ბარამია, თამარ ძიმისტარიშვილი და ხათუნა ჩიკვილაძე.

*მოსახლეობის მიერ დასმული საკითხები*

1. ობიექტის ირგვლივ არსებულ ტერიტორია კერძო მფლობელობაშია და მისი ნაწილი მოსახლეობის მიერ გამოიყენება საძოვრებად. ტერიტორია დაბინძურებულია და არსებობს ეჭვი, რომ შესაძლოა ბრუცელოზის დაავადების წყარო ეს ტერიტორია იყოს. როგორ იქნება უზრუნველყოფილი ახალი ობიექტის მშენებლობის შემდეგ ამ ტერიტორიის დაცვა დაბინძურებისგან?

   კომპანიის წარმომადგენლებმა მოსახლეობას უპასუხეს, რომ ბრუცელოზის გავრცელების შანსი ნაგავსაყრელიდან არ არსებობს. არსებული ნაგავსაყრელიდან გამონაჟონის, ისევე როგორც სხვა გარემოსადაცვითი პარამეტრების მონიტორინგი ხორციელდება შესაბამისობაში მოყვანის გეგმის მიხედვით, რომელიც

შეთანხმებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამნისტროსთან.

შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ მდინარე ჯუმის ნაპირებზე მოსახლეობის მიერ შექმნილია სტიქიური ნაგავსაყრელები, რომლიდანაც ხდება მდინარის დაბინძურება და შესაბამისად ცხოველების და ადამიანების ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების დიდი რისკი იქმნება. კომპანიის წარმომადგენლებმა მზაობა გამოთქვეს მუნიციპალიტეტის და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ორგანიზებულ დასუფთავების აქციაში მიიღოს მონაწილეობა. სტიქიური ნაგავსაყრელებიდან შეგროვებულ ნარჩენს კომპანია განათავსებს უსაფრთხოდ მის დაქვემდებარებაში არსებულ ნაგავსაყრელზე.

ახალი ობიექტიდან კი ნარჩენების გაფანტვა მიმდებარე ტერიტორიაზე თითქმის გამორიცხული იქნება, რადგან: ა) ნარჩენების გადაფარვა მოხდება ყოველდღიურად. კომპანიას ეყოლება თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც სისტემატიურად დაასუფთავებს მიმდებარე ტერიტორიას ქარის მიერ გაფანტული ნარჩენებისგან; ბ) ობიექტი შემოღობილი იქნება მაღალი დამცავი ღობით; გ) ახალ ობიექტზე ნიადაგი და მიწისქვეშა წყლები დაცული იქნება ფსკერის საიზოლაციო ფენების საშუალებით.

2. მოსახლეობა შეწუხებულია მიუსაფარი ძაღლებისგან, რომელიც ობიექტის ტერიტორიაზე იყრიან თავს, ხშირად კბენენ საქონელს და ადგილობრივ მოსახლეობასაც.

   კომპანიის წარმომადგენლებმა მოსახლეობას უპასუხეს, რომ მიუსაფარ ძაღლთა მოვლა ადგილობივი თვითმმართველობის პრეროგატივაა და სასურველია მოსახლოებამ ადგილობრივ თვითმმართველობას მიმართოს. ახალი ობიექტი შემოღობილი იქნება და მიუსაფარ ძაღლებს არ შეეძლებათ ტერიტორიზე შესვლა.

**მეორე შეხვედრა**
**ადგილობრივი მოსახლეობა კაცები**

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე და გასხვავებული ასაკობრივი ჯგუფის კაცები.

ხათუნა ჩიკვილაძემ წარადგინა პრეზენტაცია გარემოს შეფასების ანგარიშის ძირითადი მიგნებების შესახებ. ასევე პროქტის მიმდინარეობის სამომავლო გეგმებისა და პროეტის დასრულების სავარაუდო თარიღის შესახებ.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გაიმართა კითხვა/პასუხის სესია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ვახტანგ ბარამია, თამარ ძიმისტარიშვილი და ხათუნა ჩიკვილაძე.

*მოსახლეობის მიერ დასმული საკითხები*
შეხვედრაში მონაწილე მამაკაცები ინტერესედებოდნენ როდის დაიწყება პროექტის მშენებლობა. რამდენი ადამიანი დასაქმდება მშენებლობის პერიოდში და მას შემდეგ რაც ობიექტი გაიხსნება.

კომპანიის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ სავარაუდოდ სამშენებლო სამუშაოები დაიწყება 2022 წლის ბოლოს. ასევე ობიექტის გახსნის შემდეგ დასაქმდება 25-დან 50 ადამიანამდე.

## ორულუ

**პირველი შეხვედრა**
**ადგილობრივი მაცხოვრებელი ქალები**

შეხვედრას ესწრებოდა 9 ქალი.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გაიმართა კითხვა/პასუხის სესია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ვახტანგ ზარამია, თამარ ძიმისტარიშვილი და ხათუნა ჩიკვილაძე.

ხათუნა ჩიკვილაძემ წარადგინა პრეზენტაცია გარემოს შეფასების ანგარიშის ძირითადი მიგნებების შესახებ. ასევე პროექტის მიმდინარეობის სამომავლო გეგმებისა და პროექტის დასრულების სავარაუდო თარიღის შესახებ.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გაიმართა კითხვა/პასუხის სესია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ვახტანგ ზარამია, თამარ ძიმისტარაშვილი და ხათუნა ჩიკვილაძე.

მოსახლეობის მიერ დასმული საკითხები:

1. შეხვედრააში მონაწილე ქალებმა აღნიშნეს, რომ სოფელში პრობლემატურია ნარჩენების გატანის საკითხი მუნიციპალიტეტის მიერ. მცირეა ნარჩენების ურნები, სადაც მოსახლეობა ნარჩენების განთავსებას შეძლებდა.

   კომპანიის წარმომადგენლებმა მოსახლეობას უპასუხეს რომ პროექტი ასევე გულისხმობს ნარჩენების ახალი ურნების და ნაგავმზიდების შესყიდვას მუნიციპალიტეტისათვის. რის შემდეგაც აღნიშნული პრობლემები სოფელში მოგვარდება.

მეორე შეხვედრა
ადგილობრივი მაცხოვრებელი კაცები

შეხვედრას ესწრებოდა 9 კაცი, ადგილობრივი ფერმერები, მიწათმფლობელები.
ხათუნა ჩიკვილაძემ წარადგინა პრეზენტაცია გარემოს შეფასების ანგარიშის ძირითადი მიგნებების შესახებ. ასევე პროქტის მიმდინარეობის სამომავლო გეგმებისა და პროეტის დასრულების სავარაუდო თარიღის შესახებ.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გაიმართა კითხვა/პასუხის სესია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ვახტანგ ბარამია, თამარ ძიმისტარიშვილი და ხათუნა ჩიკვილაძე.

მოსახლეობის მიერ დასმული საკითხები

1. შეხვედრაში მონაწილე მამაკაცები დაინტერესდნენ პროექტის განხორციელების დეტალების შესახებ. ასევე დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.

   კომპანიის წარმომადგნელებმა გააცნეს გეგმები პროექტის შემდეგი ეტაპების შესახებ. ასევე თუ რამდენი ადამიანი შეიძლება დასაქმდეს ობიექტზე.

2. მოსახლეობა ამავე დროს დაინტერესდა თუ რა დამატებითი პროექტები შეიძლება განახორციელოს კომპანიამ.

   კომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ კომპანია საქართველოს რეგიონული განვიათარებისა და ინფრაატრუქტურის სამინისტროსთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მოახდენს იმ საინვესტიციო ღონისძიებების იდენტიფიცირებას, რომლებიც უპასუხებს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს.

<u>ქ. ზუგდიდი</u>

**შეხვედრა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთან.**

შენიშვნა: კომპანიამ შეხვედრაზე მოიწვია დაახლოებით ათზე მეტი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია. თუმცა, შეხვედრაში მონაწილეობა მხოლოდ ერთმა, ორგანიზაცია „ათინათის" წარმომადგენელმა მიიღო.

კომპანიის წარმომადგენლებმა ჩაატარეს პრეზენტაცია.

პრეზენტაციის შემდეგ ორგანიზაცია „ათინათის" წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონისთვის. ასევე ხაზი გაუსვა, რომ მის ორგანიზაციას აქვს განხორციელებული სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროექტები ნარჩენების მართვის მიმართულებით. შესაბამისად , ორგანიზაცია მზად არის ითანამშრომლოს კომპანიასთან სხვადასხვა სახის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კამპანიებში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით.

**ზოგადი დასკვნა:**

გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის პრეზენტაცია წარმატებით ჩატარდა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ შეხვედრებში მონაწილე მოსახლეობის უმრავლესობა პოზიტიურადაა განწყობილი დაგეგმილი პროექტის მიმართ.

## დამსწრეთა სია

**დიდი ნეძი**

1. ანანო ხარჩილავა
2. მაგდა ხარჩილავა
3. ანჟელა ზარანდია
4. ლიანა ჯიქია
5. მაგული პატასკურია
6. ლიკა აბულაძე
7. ლელა მებონია
8. ხვიჩა თელაშვილი
9. ონისე აშოთია
10. ლაშა ჯაბუა
11. ავთანდილ ჩახაია
12. ვეფხვია სორდია

**ორულუ**

1. მზევინარ გვილია
2. ლელა გერგედავა
3. ხატია ბაგათელია
4. მარინა ჩაკაბელია
5. სოფია ჯიქია
6. ლელა პაჭკორია
7. ვიოლეტა ალექსანდრია
8. ნათია გუგუჩია
9. ფატმარ სიჭინავა
10. გიგლა გაბისონია
11. ვახტანგ პერტია
12. ანზორ ფარულავა
13. ჯანი წურწუმია
14. გიორგი მამფორია
15. კახა ესართია
16. თამაზ პერტია
17. იურა გახარია
18. მზევარი მამფორია

# შეხვედრის ამსახველი ფოტოები

| | |
|---|---|
|  |  |
|  |  |
|  |  |